დეკრეტული შვებულების პოლიტიკა საჯარო და კერძო სექტორებში

სოფიკო მამნიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო მამნიაშვილი

10.07.2020

აბსტრაქტი

დეკრეტული შვებულების პოლიტიკა საქართველოს საჯარო და კერძო სექტორებში მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა. საქართველო ცდილობს დაუახლოვდეს ეროპულ სტანდარტებს, თუმცა ევროკავშირისგან აღებული ვალდებულებების შესრულება მისთვის რთული აღმოჩნდა. ევროკავშირის მიერ გაცემული დირექტივების შესრულება ნაწილობრივ შეძლო მხოლოდ საჯარო სექტორში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლისთვის განკუთვნილი შვებულების ჭრილში. საჯარო და კერძო სექტორებში განხორციელებული ცვლილებები ატარებს დისკრიმინაციულ სახეს როგორც სექტორული კუთხით ისე ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით.

პრობლემების და ხარვეზების მოგვარების გზებს გვთავაზობენ სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციები და მათ შორი სახალხო დამცველის აპარატი თავის ყოველ წლიურ ანგარიშში. თუმცა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად დიდი ხანია არაფერი შეცვლილა სამართლებრივ რეგულაციაში, მიუხედავად იმისა რომ საქართველოს ევროკავშირმა ასოცირების ხელშეკრულების საშუალებით დაუწესა 4 წლიანი ვადა ქვეყნის ევროპული ინტეგრაციისთვის, რომელიც 2018 წელს ამოიწურა.

კვლევამ აჩვენა რომ აუცილებელია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რათა სწრაფად მოხდეს იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც ქვეყანას დაეხმარება ადამიანის უფლებების დაცვის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში, დისკრიმინაციული მიდგომების მინიმუმამდე დაყვანაში და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში. ამის საწინდარი კი სწორედ ის არის რომ საჯარო და კერძო სექტორებში ჩამოყალიბდეს თანაბარი სამართლებრივი და პრაქტიკული დეკრეტული შვებულების მოდელი, რომელსაც ორივე სექტორი მიიღებს სწორი კონტექსტით როგორც სამართლებრივ ისე პრაქტიკულ ჭრილში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დეკრეტული შვებულება, დედობის შვებულება, მამობის შვებულება, მშობლის შვებულება, საჯარო სექტორი, კერძო სექტორი.